



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდასვის აკადემია

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და სტრატეგიული  
განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების  
მონიტორინგის მექანიზმები

გორი  
2018წელი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ხედვას და ძირითად პრიორიტეტებს. როგორც აკადემიური, სამხედრო საგანმანათლებლო, კვლევითი და კულტურული მიზნების განმახორციელებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, განვითარებას, ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტურობის განმტკიცებას, აკადემიის აკადემიური ხედვის შესაბამისად, ეთა-ს როგორც საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული, პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობის, იუნკერების/მსმენელების მხარდაჭერისა და განვითარების პლატფორმის განვითარებას.

აკადემიის ორგანიზაციული, აკადემიური და სამეცნიერო მიზნები ერთიანობაში უნდა იქნეს გაცნობიერებული და ურთიერთკავშირში განვითარდეს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისია, ხედვა, სამოქმედო და გრძელვადიანი გეგმების ერთიანობა უზრუნველყოფილია ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარების სტრატეგიით, რომელიც მოიცავს დაწესებულების განვითარების პრიორიტეტებს, სამოქმედო 3 წლიან და სტრატეგიულ 7 წლიან გეგმებს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა, წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს, აკადემიის განვითარებაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის და აკადემიის სტრატეგიული მიზნები არის თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ინდიკატორი.

აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეული და მმართველობითი რგოლი საკუთარი საქმიანობის დაგეგმვასა და ანგარიშგებას ახორციელებს აღნიშნული გეგმებით დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევადობის კონტექსტში.

სტრატეგიული გეგმები საჯაროა და აკადემია უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნების ჩამოყალიბების, განვითარების, შეცვლასა და დახვეწაში აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ნებისმიერი წევრის მონაწილეობის საშუალებას.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარების სტრატეგია ეფუძნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, პირველ ეტაპზე განისაზღვრება განვითარების ცალკეული მიმართულების ხედვა, ზოგადსაუნივერსიტეტო ხედვის ფარგლებში, აღნიშნული ხედვის შესაბამისად, განისაზღვრება მისი მიღწევის საშუალებების - პროცესების, აქტივობების და მათი მოსალოდნელი შედეგების ჩამონათვალი,

სტრატეგიული მიზნის / განვითარების სტრატეგიული მიმართულების აღწერაში აღინიშნება შესრულებაზე პასუხისმგებელი აკადემიის არსებული თუ ახალი

(შესაქმნელი) სტრუქტურული ერთეულები ან/და გარე პარტნიორები. თითოეულ განვითარების მიმართულებას მოსდევს მოსალოდნელი რისკების აღწერა, რომელთა შეფასება და გადაფასება აუცილებელია გეგმის განხორციელების თითოეულ ეტაპზე.

სტრატეგიული მიზნების მიღწევის მოსალოდნელი პერიოდი აღიწერება სამოქმედო გეგმაში.

სტრატეგიული მიზნების შესაბამისად თითოეული სამსახურის მიერ, შემუშავდება სამსახურის სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს სამსახურის მიერ განსახორციელებელ ძირითად სტრატეგიულ ამოცანებს მიმდინარე წელს.

სამოქმედო გეგმის პერიოდში პერიოდულად და თითოეული წლის დასრულების შემდეგ აკადემიის თითოეული სტრუქტურული ერთეული შეიმუშავებს ანგარიშს საკუთარი სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე.

სამოქმედო გეგმის ამოქმედებიდან 2 წლის თავზე, აკადემიის სტრუქტურული ერთეულებისგან, აკადემიის რექტორის ბრძანების მიხედვით შექმნილი სამუშაო ჯგუფი განიხილავს და აფასებს მიღწეულ, მიუღწევებელ, და მიუღწევად სტრატეგიულ მიზნებს და შეიმუშავებს სამოქმედო გეგმის მოდიფიცირების პროექტს.